# შიკრიკი

გაზეთი თავის მიზნათ ისახავს—ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის კლასიურ ინტერესების დაცვას.

ქუთაისი
ხუთშაბათი, 13 ივლისი.
1906
წელიწადი პირველი.
ცალკე № 3 კაპ.

№ 4. ყოველ-დღიური გაზეთი № 4.


ოდესაში ებრაელებს იკლებენ. —რუსეთის დუმის დელეგატებს საერთაშორისო საპარლამენტო კონფერენციაზე ოვაციით ეგებებიან. —დუმის [illegible] ბერლინის ბირჟაზე რუსეთის ღირებულების დაცემა გამოიწვია.—კისლოვოდსკში საერთო გაფიცვაა.


1906 წლის 9 ივლისიდან გამოდის ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„შიკრიკი“

გაზეთის ფასი: 1 წლით 3 მ., 6 თვით 2 მ., 3 თვით 1 მ., ცალკე № 3 კ.

განცხადების ფასი: პირველ გვერზე პწკარი პეტიტით 15 კ. მეოთხეზე—10 კ.

რედაქცია მოთავსებულია ბალახვანის ქუჩაზედ, ალ. მხეიძის სახლებში № 5.

ფოსტის ადრესი: Кутаисъ редакція „Шикрики“



მიტროფანე ლალიძემ, გადასწყვიტა თავის ცნობილ ქარხანას უფრო მეტი და ფართო სამრეწველო ხასიათი მისცეს, ამ მიზნით იგი აარსებს

## ამხანაგობას

ხელოვნურად შემზადებული მადნეულის-ხილეულის წყლის, ყინულის ქარხნებისა და ელექტრონის სადგურისას ქ. ქუთაისში.

სახელ-წოდებით „მიტროფანე ლალიძის და ამხ“

მიზანი ამ ზემოხსენებული ამხანგობისა არის:

1. შეიძინოს მიტროფანე ლალიძისაგან მისი საკუთარი მინერალური-ხილეულის წყლის და ყინულის ქარხნები და ელექტრონის სადგური სრული ინვენტარიით, მასალითა და საქონლით, რაიცა საჭიროა ზემოხსენებული ქარხნების და ელექტრონის სადგურისათვის; შეიძინოს აგრეთვე უფლება ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების საიჯარო მიწაზე ლალიძის მიერ აგებული ქვიტკირის შენობებზე მოიჯარადრის სრული უფლებებით და ფართო ექსპლოატაცია უყოს ზემოხსენებულ სახელმწიფო დაწესებულებას.

ოპერაციების გასაფართოებლად და წარმოების გასაადვილებლად ამხანაგობა საჭიროების მიხედვით, ხსნის განყოფილებებს, როგორც ქუთაისში, ისე სხვა ქალაქებსა და ადგილებშიც. ამხანაგობის კაპიტალი (თანხა) ჯერ-ჯერობით განისაზღვრება 70,000 მანეთით, რომელიც დაყოფილია 700 წილათ (პაით) თითეული პაი ღირს 100 მანეთი.

ამხანაგობის დამაარსებელმა თავის პირველ-კრებაზე, რომელიც შესდგა 25 ივნისს 1906 წ. ქუთაისის საურთიერთო ნდობის დარბაზში, ბ. ვ. ი. ჭილაძის თავმჯდომარეობით და ნოტარიუსი ბ. ანჯაფარიძის ხელმძღვანელობით განიხილეს ამხანაგობის ხელ-შეკრულების პირობა (წესდება), რომელიც შესდგება სამოცი მუხლისაგან შეასწორეს ზოგიერთი მუხლები და შემდეგ ერთხმად მოწონებულ და მიღებულ იქმნა იქ დამსწრე ქუთაისის ვაჭრების კრებისაგან. კრებამ აირჩია ამხანაგობის დამაარსებელი კომისია, შემდეგ პირებისაგან: ვ. ი. ჭილაძე, ფარნა ბეჟანის-ძე გაბუნია, ფილიპე სიმონის ძე ფილიპოვი, რაჟდენ ყარამანის-ძე დათეშიძე, ტ. გველესიანი, ფილიპე ნიკოლოზის-ძე ჭელიძე, სიმონ იაკობის-ძე თევდორაძე, პეტრე იოსების-ძე გოგიელოვი, ნიკიფორე მოსეს-ძე ჯანელიძე და მიტროფანე ლალიძე.

ზემოხსენებული ამხანაგობის დამაარსებელი წევრნი სთხოვენ ყველა იმ პირთ, ვისაც რაიმე მონაწილეობის მიღება სურს ხსენებულ ამხანაგობაში კეთილ ინებონ და მობრძანდენ კვირას 16 ივლისს, დილის 10 საათზე სწორეთ 1906 წელს ქუთაისის საურთიერთო ნდობის დარბაზში ამხანაგობის გამგეობის წევრთა ასარჩევათ და საქმეების დასაბოლოებლად.

ვინც მოისურვებს ამხანაგობაში მონაწილეობის მიღებას სრულ ამხანაგათ ანუ მხოლოთ პაის შეძენით, ყოველ-გვარ ცნობებს და ხელ-შეკრულობით პირს მიიღებენ ამხანაგობის დამაარსებელ კომისიის ერთ ერთი წევრისაგან, ამხანაგობის დამაარსებელნი და პაის მყიდველნი პასუხის მგებელნი არიან მხოლოდ და მარტო იმ ფულით, რაც შეტანილი ექნებათ წილის ფასად.


## რედაქციისაგან

მოგეხსენებათ, თუ რამდენათ საძნელოა ყოველივე ახალი საქმის პირველად ფეხზე დაყენება, და მით უმეტეს ბეჭვდითი საქმის მოგვარება, რომელსაც ბევრი დაბრკოლებანი ელობებიან წინ; ამიტომ, ვაცხადებთ ჩვენი მკითხველების საყურადღებოთ, რომ ყოველ ღონეს ვიხმართ ყველა ამ ნაკლთა შესავსებათ, რომლებიც უეჭველია, უკმაყოფილებას იწვევენ მკითხველთა შორის (როგორც მაგ. გაზეთის თავის დროზე არ მიღება და სხ.) და ვეცდებით, რამდენათაც შეიძლება დავიცვათ ჩვენი მოვალეობა.

ქუთაისი, 13 ივლისი.

მთავრობამ დუმა გარეკა. მან თავისი აწ დაუვიწყარი მანიფესტით მთელ ქვეყანას აუწყა, რომ ყოფილმა დუმამ მას იმედები გაუცრუა. თვითმპყრობელობას სურდა დუმის საშუალებით ერთი მხრით თავისი განუსაზღვრელი უფლებები შეერჩინა და მეორე მხრით ხალხიც დაეწყნარებია, დუმამ კი მიზნათ დაისახა მისი უფლების მოსპობა და ყოველი მის მიერ გადამდგარი ნაბიჯი ხალხის რევოლიუციონურ ენერგიას აათკეცებდა. მთავრობას სურდა ისეთ ფარგლებში ჩაეყენებია დუმა, რომ მას არ შესძლებოდა რაიმე კრამოლნიკური ნაბიჯის გადადგმა, დუმამ კი პირველივე თავის გამოსვლით გაანგრია ეს ფარგლები და აუწყა, ყველას რომ მისი მიზანი—ეს თვითმპყრობელობის დამსხრევაა. ამის შემდეგ არც გასაკვირია თვითმპყრობელობის საქციელი დუმის მიმართ. როგორ უნდა მოიქცეს ეხლა დუმა?

უნდა დაიშალოს, თუ წაბაძოს გენერალურ შტატებს და განაგრძოს არსებობა?

დუმის რომელი ნაბიჯი უფრო ხელ-საყრელია რევოლიუციის განვითარებისა, მის გაღრმავებისათვის?

აი კითხვა, რომელიც დღეს ყველას პირზე adგია. ჩვენი აზრი ამის შესახებ უკვე იყო გამოთქმული „შიკრიკში“.

დუმა უნდა დარჩეს. დუმამ უკანასკნელ სისხლის წვეთამდის უნდა იბრძოლოს თავის არსებობისათვის.

შესაძლებელია ეს თუ არა?

და თუ არა, ვინაა ამაში დამნაშავე?

დუმის დარჩენა—ეს მისი რევოლიუციის ცენტრათ გადაქცევას ნიშნავს, მისი არსებობა ეს ფაქტიურათ მეფის მთავრობის უარის ყოფაა. ამაზე მთავრობა ისე ადვილათ არ დასთანხმდება, ის მთელ თავის ბნელ ძალებს აამოძრავებს, რომ ეს არ მოხდეს. დუმას დიდი ბრძოლა დაჭირდება. ამნაირი ბრძოლის დასაწყებათ კი საჭიროა სხვათა შორის ორი რამ.

პირველი თვით დუმაში უნდა არსებობდეს ისეთი მედგარი და შეუპოვარი გავლენიანი ფრაქცია, რომელიც ასეთ დიად მომენტში შეძლებს მთელ დუმის ხელმძღვანელობას.

მეორეც, და ეს არსებითათ თავი და თავია, ხალხი, როგორც ერთი კაცი ფეხზე უნდა იდგეს დუმის მხარის დასაჭერათ და მის დასაცავათ.

მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება დუმის არსებობა.

არსებობს თუ არა დღეს ეს პირობები?

ყველასათვის ცხადია და დღეს ამას არავინ უარს არ ყოფს, რომ წინამძღოლი, „ბასტრელშჩიკი“, როგორც რუსები იტყვიან, დღევანდელ ბრძოლაში პროლეტარიატია. რასაკვირველია დუმაშიდაც ამნაირი „ბასტრელშჩიკათ“ ამ კლასის პარტიის წარმომადგენელი იქნება.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია—აი ის ჯგუფი, რომელიც შეძლებს ამ წინამძღოლობას. მართალია, ჩვენი ამხანად მეუმრავლესეების წყალობით, ეგ ჯგუფი ისე გავლენიანი და მაგარი არა რის, როგორც ეს საჭიროა, მაგრამ რასა იქ.

ეხლა ვნახოთ დაუჭერს თუ არა ხალხი მხარს დუმას?

არა ერთხელ და ორხელ ჩვენს ამხანაგებს მეუმცირესეთ ბანაკიდან გამოუთქვამთ ის აზრი, რომ მასსის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ ვერ არის პოლიტიკურათ მომწიფებული. კიდევ უფრო დიდი ნაწილი მასის ორგანიზაციულათ სრულებით შეკავშირებული არ არის. მართალია 17 ოქტომბრის შემდეგ ამ მხრივ დიდი ნაბიჯი იქმნა გადადგმული, მაგრამ დეკემრის რეაქციამ ყოველივე ორგანიზაცია, აღორძინებული ამ თავისუფლების დროს გაანადგურა და წალეკა; ამ პირობებში მოხდა არჩევნები დუმაში. მეუმცირესეთა აზრით, საჭირო იყო რევოლიუციონერ პარტიათა ამ საქმეში ჩარევა და არჩევნების გამოყენება მასის გასათვითცნობიერებლათ და შესაკავშირებლათ მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ მეუმრავლესეებმა ეს არ ინებეს და კიდევ მთელ რუსეთში სოციალ-დემოკრატიას არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია.

ამ რიგათ მასა შემდეგაც შეუკავშირებელი ჩარჩა

რომ დუმამ დიდი სარგებლობა მოუტანა ხალხის გათვითცნობიერებას და მასში რევოლიუციონური სულის გამტკიცებას, რომ მან აალაპარაკა ისეთი ჩამორჩენილი ელემენტებიც კი, როგორიცაა კაზაკები, ამის უარისყოფა დღეს არავის შეუძლია. მხოლოთ რაიცა შეება იმავ ხალხის ორგანიზაციულათ შეკავშირებას და თავისთავთან მიახლოვებას, ამის შესახებ დუმას ბევრი არაფელი გაუკეთებია. დუმამ უარყო მშრომელთა ჯგუფის წინადადება აგრარული კომიტეტების მოწყობის შესახებ; ჩვენი ამხანაგები თავიდანვე საჭიროთ სთვლიდენ ასეთ მჭიდრო კავშირს დუმისა და ხალხს შორის. იმ დღიდან რაც დუმაში ჩვენი ფრაქცია ოფიციალურათ სამოქმედო ასპარეზზე გამოვიდა, ის კიდეც შეუდგა ამის ცხოვრებაში გატარებას, მაგრამ მისი არსებობა ისე დღენაკლული იყო, რომ ამ საქმის ფართოდ დაყენება ყოვლად შეუძლებელი შეიქნა, ამ ნაირათ მართალია დუმის მხარეზე თანაგრძნობა ხალხის უმრავლესობის, მაგრამ ეს თანაგრძნობანი იმ რიგათ არიან დაქსაქსული და განაწილებული, რომ ძლიერ საეჭვოა ამ პირობებში დუმას ხალხმა ამ ხანათ მხარი დაუჭიროს.

მაშ იმედი იმაზე, რომ დუმა ასეთ პირობებში განარგძობს თვით არსებობას—ძლიერ ცოტაა. როგორი უნდა იყოს ამის და მიხედვით ჩვენი ტაქტიკა? ამაზე შემდეგ მოვილაპარაკოთ.

## დეპუტატ რამიშვილის მოხსენება.

კვირას, 2 ივლისს, ქართველთა სახალხო შენობის ბაღში, მბეჭდავ მუშების კავშირთა კრებაზე, რომელსაც 8,000 კაცი დაესწრო, დეპუტატმა რამიშვილმა წაიკითხა მოხსენება ამ ტემაზე: „დღევანდელი რუსეთის მდგომარეობა და სოც. დემოკრატიული ფრაქციის ტაქტიკა“

აღნიშნა რა დიდებული მომენტი, რომელსაც დღეს სახელმწიფო განიცდის, სადაც ბრძოლაა გაჩაღებული ძველსა და ახალ რუსეთს შორის მომხსენებელმა გამოსთქვა ის აზრი, რომ ბრძოლის გადამწყვეტი მომენტი ძალიან ახლოს გვიდგასო. შემდეგ ორატორი შეეხო შავ-რაზმელთა მასის დახასიათებას და მოუწოდა დამსწრეთ ასწავლონ მათ: იგინი—მომავალი ამხანაგებია ბრძოლაში, რადგან მათ რევოლიუცია აჩვენებს, რომ არ არის რისხვა უსასტიკესი ხალხის რისხვისა.

პროლეტარიატმა უნდა გამოიმუშაოს გეგმა ბრძოლისა, შეუერთდეს მებრძოლ გლეხობას, რომელიც გამოფხიზლდა და ხმა მაღლა გაკივის რევოლიუციონურ სიმღერას: „ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ წესებს“...

ორატორმა აღნიშნა, რომ სათათბიროში სულ 17 კაცია სოც. დემოკრატი და რამოდენიმე ათეული გლეხების წარმომადგენლებისა, დანარჩენი კი, უმრავლეს შემთხვევაში, კადეტებია—მშვიდობიანი და ზომიერების მოტრფიალე ხალხი. სოციალ-დემოკრატების მიერ შემუშავებული რეზოლიუციებს, მართალია დუმა არ ღებულობს, მაგრამ მას სამაგიეროთ მთელი რუსეთის პროლეტარიატი უჭერს მხარს.

კადეტები დუმაში სამაგალითოთ იქცევიან, როდესაც ისინი კათედრიდან ხმა მაღლა და სასტიკათ კიცხავენ განხრწნილ მთავრობის მცარცველ ბუნებას. დიე, ეს მთელმა ქვეყანამ იცოდეს—ეს ჩვენთვის ძალიან ხელსაყრელია. მაგრამ კადეტებს არ ესმით ხალხის სულის კვეთება; მათთვის მიუწდომელია ის თავისუფლება, რომელსაც ხალხი ელტვის, ამიტომაც მათ კანონ-პროექტებში ყოველგან ბურჟუაზიული პსიხოლოგია გამოსჭვივის.

შემდეგ ორატორი სოც. დემოკრატიული ფრაქციის მოქმედებას ეხება სათათბიროში და ამბობს, რომ ის (ფრაქცია) მხარს უჭერს კადეტებს, როდესაც ეს უკანასკნელი მთავრობის წინააღმდეგ ილაშქრებენ, სდევნიან სტოლიპინს, სიცოცხლეს უწამლავენ მხეც—პავლოვს, მაგრამ კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს მათ, როდესაც ისინი შეთითხნილ კანონ-პროექტებს აყენებენ. სამინის ტროს დუმის უმრავლესობისაგან შედგენაზე ფრაქცია იმ აზრისაა, რომ მოთხოვნილებას ჩვენ მხარი უნდა დაუჭიროთ, ვინაიდგან პრინციპიალურათ სამინისტრო პალატის უმრავლესობის ნდობით იქნება აღჭურვილი; ძალიან საეჭვოა, რომ ეს მოთხოვნილება იქნეს დაკმაყოფილებული, რაიცა დეპუტატების რევოლიუციონურ განწყობილებას კიდევ უფრო მაღლა ასწევს, და მათ რევოლიუციის ქარტეხილში ჩაითრევს.

ეს გზა ყველაზე ადრე მიგვიყვანს დამფუძნებელ კრებამდის, რომელსაც ასე დაჟინებით მოითხოვს მთელი რუსეთი. დასასრულ ორატორმა განაცხადა, რომ სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას პეტერბურგში კავშირი აქვს მუშებთან—მათ (მუშების) მიერ არჩეული რწმუნებულების საშუალებით, რომლებიც დეპუტატებთან და პარტიის წარმომადგენლებთან ერთათ არჩევენ მომავალ საქმეებს; ფრაქციას იმედი აქვს, რომ აღადგენს კავშირს მთელი რუსეთის მუშებთან.

მოხსენების მოსმენის შემდეგ, კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „საერთო კრება ბეჭდითი საქმის მუშებისა სალამს უძღვნის რუს. სოც. დემ. მუშ. პარტიის წევრს ამხანაგ რამიშვილს, რომელიც არჩეულია სათათბიროს წევრათ საქართველოს პროლეტარიატისაგან და რევოლიუციონური გლეხობისაგან, რომელთაც ჩვენ, ამხანაგ რამიშვილის სახით, უღრმეს პატივცემას უცხადებთ. ჩვენ მივესალმებით ამხანაგ რამიშვილს, როგორც სათათბიროს სოც. დემ. ფრაქციის წარმომადგენელს, და ვსთხოვთ მას გადასცეს ფრაქციას, რომ ჩვენ გულდასმით თვალ-ყურს ვადევნებთ ყოველ მის მოქმედებას, მხურვალეთ თანავუგრძნობთ მას და ყოველთვის მზათა ვართ მას მხარი დაუჭიროთ. მივესალმებით ამხანაგ რამიშვილს, როგორც ძველ მებრძოლს მუშათა განთავისუფლებისათვის და აგრეთვე მთელი ხალხისა—მთავრობის თვითნებობისაგან, და ნიშნათ ჩვენი ღრმა პატივისცემისა მისი მოღვაწეობისადმი ვირჩევთ ამხანაგ რამიშვილს ჩვენი კავშირის საპატიო წევრათ“.

დეპუტატ რამიშვილმა ამ გვარი პატივისცემისათვის კრებას მადლობა გამოუცხადა და სთქვა, რომ თუმცა ის არჩეულია საქართველოს მცხოვრებლებისაგან, მაგრამ არჩეულია როგორც წევრი სოც. დემოკრატიული პარტიისა, როგორც პროლეტარი, რომლისთვისაც ყველა ქვეყნის პროლეტარიატი ერთ ნაციას შეადგენს და რომელსაც ერთი სარწმუნოება, ერთი სახარება აქვს—სოციალიზმი. ამის შემდეგ მიღებულ იქმნა რეზოლიუცია სახელმწიფო სათათბიროს მხარის დაჭერაზე.

(პუტ.)

---

### სპირიდონოვის ქალის წერილი.

„XX საუკუნეში“ დაბეჭდილია მ. ა. სპირიდონოვას საკუთარი ხელით დაწერილი წერილი, რომელიც მას ჩელიაბინსკის მახლობლათ ვაგონიდან გადმოუგდია. წერილი ორ მუშას აუღია და ადრესისამებრ მოსკოვში გაუგზავნიათ. აი, სხვათა შორის, ერთი შესანიშნავი ადგილთაგანი წერილისა: „სულ მივდივართ, მივდივართ, მგონი ბოლო არ უნდა ქონდეს ამ მომაბეზრებელ მოგზაურობას, ეს წერილი თუ რაიმე სასწაულით თქვენამდის მოვიდეს, გადაეცით ს., რომ სახლში არ იჯავრონ.

მე მივდივარ, მაგრამ არა მარტო, ჩემთან ბევრი სხვა წამებულნიც არიან, ყველას ეძნელება, ყველას ლოდი აწევს გულზე. მთელი დღეები ფანჯრებში ვიცქირებით, ვინაიდგან სალაპარაკო აღარაფერი გვაქვს. უკვე ყველაფრის გადაცემა მოვასწარით ერთი-ერთმანეთს, ბევრი ვიტირეთ... ვერსები გარბიან, თან და თან ვშორდები სამშობლო მხარეს, როგორც კარში ისე გულშიაც სიცივეს ვგრძნობ... ერთი რამ მიხუთავს სულს: ნუ თუ მე ციმბირში „ტაჩკას“ მომცემენ, მიწის თხრას მიბრძანებენ?...

ეს ხომ სიბრიყვეა! პირველ ცდისთანავე მე წავიქცევი და ეს კი ყარაულებში რისხვას გამოიწვევს ჩემდამი. ერთმა ამხანაგმა მითხრა, რომ რომელიღაც მსაჯულს უნდა ეთქვას: „დასასჯელათ არ ღირს, სულ ერთია კატორღაში ჩაკვდება“... ვფიქრობ, ასეც უნდა მოხდეს, მაშ მშვიდობით, ჩემო მეგობარო. ანდერძათ გიტოვებ ყოველივე მას, რაც ჩემშია: სიყვარულს საბრალო სამშობლოსას. გასწით წინ ძველებური გზით, ტანჯვებს არ შეუშინდეთ. ტანჯვაშია—სიცოცხლე. აი ეს არის ჩემში; ზევიდან კი არესტანტის ხალათი და ქალალდის „კოსინკა“ მახურავს, მაგრამ ამათაც გაუჩნდებათ წამბაძველი მემკვიდრეები! მარია სპირიდონოვისა“.

---

## პრესსა

გაზეთ „სიმართლეში“ მოთავსებულია წერილი: „როგორ უნდა მოიქცეს დუმა?“—ამ წერილში გაზეთი არკვევს ბიუროკრატიის განზრახვას,—ხალხისათვის აშკარა ომის გამოცხადებას და აგრეთვე თუ როგორ უნდა მოიქცეს კანონს გარეშე გამოცხადებულმა დუმამ. გაზეთი სრულიად სამართლიანად ურჩევს დუმას, საფრანგეთის გენერალური შტატების მზგავსათ, შეიკრიბოს რევოლიუციონური გზით, სადაც კი მოახერხებს, არ დაიმალოს მანამდე, სანამ მთავრობა ხიშტებით არ გარეკს. მიმართოს ხალხს მოწოდებებით და კიდევ უფრო აშკარა ჰყოს ბიუროკრატიის ფიზიონომია.

დასასრულ გაზეთი შემდეგი სიტყვებით ათავებს წერილს:

„დუმამ ორში ერთი უნდა აირჩიოს: ან მთავრობის ბრძანების დამორჩილება და მხდალი სიკვდილი, ან ხალხის ხმის მიყოლა და რევოლიუციის ცენტრათ გადაქცევა! მესამე გზა არ არის! დუმამ უნდა იარსებოს, სანამ არსებობა შეუძლია, და თუ მთავრობა ხიშტებით გარეკს ხალხის წარმომადგენლებს, ხალხი ამ შეურაცხყოფას დაიხსომებს და თავის დროზე პასუხს მოსთხოვს მთავრობას!“

სრული ჭეშმარიტება არის! ჯერ ისტორიაში არ ყოფილა ისეთი მაგალითი, რომ ხალხს შეერჩინოს ვინმესგან თავისი გაბიაბურება, მასხრად აგდება და არც რუსეთის თავისუფლების მოტრფიალე ხალხი შეარჩენს ჯალათებს თავის შეურაცხყოფას. ხალხი უეჭველია შურს იძიებს და ამ შურისძიების დროს თავისუფლებისთვის მებრძოლთა დანთხეულ სისხლში ამ ჯალათების სისხლსაც აურევს!..

## პაწია ფელეტონი.

—

### რა გვმართებს?

„შიში ვერ იხსნის სიკვდილსა,
ცუდია დაღრეჯილობა“...
შ. რუსთაველი.

დუმის გარეკვის ამბავმა შიშით მოიცო მთელი ხალხი. ყველა აქეთ-იქით მიიჩქმალ-მიიმალა, ქალაქის ქუჩებს სიცოცხლე არ ეტყობა.. ხალხი წინაგრძნობამ მოიცო და გულის ფანცქალით მოელის „რაღაცას“.

დიახ, ხალხი „რაღაცას“ მოელის, გრძნობს მის მოახლოვებას და არც შემცდარია მისი წინაგრძნობა: ჭეშმარიტად მოახლოვებულია ეს „რაღაცა“, რომელიც უნდა დაგვირგვინდეს ხალხის საბოლოვოდ გამარჯვებით... მაშ რა არის აქ საშიშო, რა აშინებს ხალხს? რისთვის შიშით და არა სიხარულით ეგებება ამ დიად მომენტს?

ნუ თუ იმისთვის, რომ ეს ხალხის გამარჯვების დიადი მომენტი სამსხვერპლოზე შესაწირ მსხვერპლს მოითხოვს? ერთხელ როდისმე ხომ მაინც უნდა მოხდეს ის, რაც აუცილებლათ მოსახდენია? როდისმე მაინც ხომ უნდა შეიწიროს ის მსხვერპლი, რომლის შეწირვაც დღეს ხალხს აშინებს, აფიქრიანებს? არა, ეხლა შიშს ადგილი არა აქვს!

„შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილება“-ო, გვიანდერძა დიდებულმა შოთამ და ჩვენც უკუვაგდოთ უსაფუძლო შიში.

ეხლა მხნეობაა საჭირო, მეტი მხნეობა, დღევანდელი მომენტის კარგად შეგნება, მჭიდროდ შეკავშირება და ამ მომავალ „რაღაცასთვის“ მომზადებულად დახვედრა,—აი რა გვმართებს ჩვენ!

ი. ჭ—ნიძე.

---

## ახალი ამბები.

—

❖ 11 ივლის, ღამე ბალახვანის ქუჩაზე, კემულარიას მაღაზიის გვერდზე მიდგმული სარაია დაიწვა. ცეცხლი მაღაზიებზედ ველარ გადავიდა, რადგანაც ბოქაულმა ბახტაძემ მალე აცნობა ცეცხლის მქრობელ რაზმს და ამით გადარჩა მაღაზიები უბედურებას.

❖ 12 ივლის, დილის 9 საათზე, ქალაქის ბაღის მახლობლათ, სადაც დღიური მუშები თავს იყრიან, მივიდა გოროდოვოი პატრულებით და უთხრა: „აქ რა გინდათო“, მუშებმა უპასუხეს: „სამუშაო გვინდა, ეგებ ვინმემ დაგვიქირაოსო“; გოროდოვოიმ მიმართა პატრულებს და მათ თოფის კონდახებით გარეკეს მუშები. საკვირველია, მაშ სად მოიყარონ თავი დღიურმა მუშებმა?!

❖ როგორც სოფ. ძეგვიდან იტყობინებიან, იქ თურმე 23 ივნის ჩხარიდან მომავალ გლეხებს თავს დასხმია ოთხი შეიარაღებული კაცი, წაურთმევიათ მათთვის 60 მანეთამდე ფული და მიმალულან.

❖ როგორც გადმოგვცეს, ყვირილელ გაზეთის გამყიდველებს ბოიკოტი

გამოუცხადებიათ მეგაზეთე ლადიკო საყვარელიძისათვის, რადგანაც უკანასკნელს ჯაშუშობით უსახელებია თავი.

ჩვენ გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ წიგნების ამკინძველი ვანო აბდალაძე მეტად უდიერათ ეპყრობა შეგირდებს. ერთი შეგირდისათვის ისთე მწარეთ უცემია, რომ ის გაქცეული და ორი დღის შემდეგ ძლივს უპოვნიათ მშიერ-მწყურვალე.

# ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲐ.

— განთავისუფლება. ხარლამპი ლლონტი და გორგაძე, რომელნიც გიმნაზიის აკლების დროს დააპატიმრეს, უკვე გაანთავისუფლეს. ლლონტი თუმცა კარგადა გრძნობს თავს და დადის კიდეც, მაგრამ მთელი სახე, თავი და ხელი შეხვეული აქვს. აბულაძე და მესხიშვილი გოსპიტლიდან მიხეილის სამკურნალოში გადაიყვანეს. ესენი ტყვიით არიან დაჭრილნი და ჯერ კიდევ მოუხდებათ საავადმყოფოში წოლა. (შრ.)

— გუშინ, დილის 10 საათზე, ნაძალადევში კაზარმების მახლობლათ მოკლეს პოლიციელი და თოფი აართვეს. ფიქრობენ, რომ ეს პროვოკატორული მიზნით უნდა იყოს. (ახ. ც.)

— თავდასხმა ფოსტაზე. როგორც შუშიდან ატყობინებენ „შრომას“, 9 ივლისს შუშიდან გერიუსში მიმავალ ფოსტას თავს დაესხმიათ ავაზაკები, ასტყდა სროლა. ავაზაკებმა მოჰკლეს ორი სტრაჟნიკი და დახოცეს ცხენები. შემდეგ დახსნეს ფულიანი პაკეტები და ფული წაიღეს. შემთხვევით ხელი არ ახლეს ფულის აბგას, რომელიც გადარჩა.

— 8 ივლისს, სალამოს თფილისის ქალაქის თვითმართველობის სადგომში მოხდა კრება ტრაქტირების, სარდაფების და სასმელების გამყიდველ დაწესებულებათა პატრონებისა და მათ მოსამსახურეების წარმომადგენლების. ხაზეინებმა დააკმაყოფილეს მოსამსახურეთა ყველა მოთხოვნილება, რის გამოც 9 ივლისიდან გაფიცვა აიხსნა. (ახ. ც.)

— ს. გერიუსიდან (ზანგეზურის მაზრა) ჰანჩაკისტების კავშირის კომიტეტს დეპეშით ატყობინებენ, რომ ჰანჩაკისტებს თავს დაესხა დროშაკისტები მოჰკლეს სამი, მძიმედ დასჭრეს ოთხი. უნდათ ჩვენი (ჰანჩაკისტების) აქედან გაძევება. ხოცვა-ჟლეტა ჯერ კიდევ არ შეჩერებულა. სთხოვენ რამე განკარგულება მოახდინეთო.

## ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲓᲐᲜ

გაზ. „სიმართლეში“ შემდეგი ცნობაა მოთავსებული.

„რუს. ვედ.-ში“ (იხ № 169) შემდეგს ვკითხულობთ:

„30 ივნის მოხდა კრება რუს-სოც.-დემ. მუშათა პარტიის რაიონულ კომიტეტთა წარმომადგენლებისა. კრებაზე დამსწრე პეტერბურგის კომიტეტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ კომიტეტმა თავის უკანასკნელ კრებაზე გამოიმუშავა საზოგადო მოწოდება პარტიის ყველა წევრთა მიმართ შესახებ სოციალდემოკრატების ტაკტიკისა დღევანდელ მომენტში. კრებამ მოისმინა და, გაარჩია რა დაწვრილებით ცეტერ.-კომიტეტის მიერ განზრახული მოწოდება, იმ დასკვნას დაადგა, რომ პეტერბურგის კომიტეტა, როგორც კერძო ორგანიზაცია, აჭარბებს თავის უფლებებს, და საზოგადო მოწოდებების გამოშვებით მან უნდა ცენტრალურ კომიტეტს სახელი გაუტეხოს პარტიის წევრებში. კრების შეხედულებით ასეთი მოქმედება ახალს განხეთქილებას იწვევს და პარტიის ძალას ასუსტებს. გარდა ამისა კრებამ გადაწყვიტა პროტესტი გამოაცხადოს პეტერბურგის კომიტეტის მოწოდების წინააღმდეგ, რადგან ამ მოწოდებაში ცენტრ. კომიტეტს ყოვლად უსაფუძვლოთ სდებს ბრალს, თითქოს იგი ცდილიყოს პეტ. კომიტეტისგან დაფარულათ მოეწყო თათბირი ქარხნების და ფაბრიკების დეპუტატების დუმის სოც. დემ. ფრაქციასთან.

მოლაპარაკე ორატორები ამტკიცებდნენ, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა შეატყობინა ყველა რაიონებს, ის იყო ხელმძღვანელი იმ საქმის, რაც მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს. რამდენიმე სადავო კითხვის გამორკვევის შემდეგ, კრებამ მიიღო დასკვნა. რომელშიაც კატეგორიულად მოსთხოვა პეტერბურგის კომიტეტს დაუყოვნებლივ დაიშალოს“.

—

ს. დ. პარტიის მოსკოვის კომიტეტმა უკანასკნელი თავის კრებაზე დუმის სოც. დემ. ფრაქციის მიერ მუშების მასასთან კავშირის დაჭერაზე შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

სცნო რა მიზნის შესაფერ მოქმედებათ მუშათა წარმომადგენლების შედგენა და მისი დუმის სოც. დემოკრატიული ფრაქციასთან დაკავშირება, მოსკოვის კომიტეტმა დაადგინა:

1) დაუყონებლივ აგიტაცია გამართოს ამ გვარი ორგანოს შესადგენათ და გაავრცელოს მუშების ფართო მასაში იდეა ამ გვარი წარმომადგენლების საჭიროებაზე.

2) მიეცეს წინადადება სოც. დემ. ფრაქციას გზავნოს მოსკოვში თავისი წარმომადგენელი, რომ მათ ფართო კრებებზე გააცნონ მუშებს თავიანთი მოქმედება.

3) წინადადება მიეცეს სოც. დემოკრატიულ ფრაქციას, რომ მან თავისი სახელით მიმართოს პროლეტარიატს მოწოდებით, ამოირჩიოს წარმომადგენლები ფრაქციასთან მუდმივი კავშირის დასაჭერათ.

—

სამი დღის წინათ შედგა კრება უსაქმოთ დარჩენილ მუშათა საბჭოსი, რომელზედაც დაესწრენ სახელმწიფო სათათბიროს წევრი რამიშვილი და დეპუტატები მოსკოვის 14-ზავოდებ-ფაბრიკებისა. დეპუტატმა რამიშვილმა გააცნო კრებას სოც. დემ. ფრაქციის განზრახვა—მოკლე ხანში შეიტანოს სათათბიროში შეკითხვა უსაქმოთ დარჩენილ მუშების შესახებ და როგორ ეპყრობა მათ ადმინისტრაცია. კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

„მოსკოვის უსაქმოთ დარჩენილ მუშათა საბჭო დარწმუნებულია, რომ ამ გვარი შეკითხვა სათათბიროში მიიქცევს მთელი რუსეთის პროლეტარიატის ყურადღებას, თანაგრძნობას გაგვიწევს, და ენერგიულათ მხარს დაგვიჭერს ბრძოლაში. ამავე დროს ეს შეკითხვა უსაქმოთ დარჩენილ მუშებში სულიერ მდგომარეობას აღამაღლებს და გაამხნევებს მათ ორგანიზაციული შეკავშირებლათ მთელ რუსეთში, რაიცა თავის მხრივ გააძლიერებს ჩვენი გამარჯვების შანსებს ქალაქის თვითმართველობისადმი მიმართვას ჩვენ მოთხოვნილებებში მუშებისათვის სამუშაოების აღმოსაჩენათ. უსაქმოთ დარჩენილ მუშათა საბჭო თხოვს ამხანაგს რამიშვილს მხურვალე სალამი გადასცეს სოც. დემ. ფრაქციას მოსკოვის უსაქმოთ დარჩენილ მუშების სახელით და წინადადება მისცეს მას (ფრაქციას) ყოველი ღონის ძიება მიიღოს ხალხის წინაშე იმ დაცინვის გამოსააშკარავებლათ, რომელიც ჩვენ გვიძღვნა ბურჟუაზიამ მოსკოვის ქალაქის საბჭოს სახით.“

## მუშათა ცხოვრებიდან

ბინიატოვლის თამბაქოს ფაბრიკის მუშების მოთხოვნილებანი:

1. რვა საათის სამუშაო დღე. 2. მუშების მიღება და დათხოვნა დამოკიდებული უნდა იყოს თვით მუშებზე. 3. ზრდილობიანი მოპყრობა. 4. ავადმყოფობის დროს ხაზეინის ხარჯზე ექიმობა და ნახევარი დღის ჯამაგირი 5. თუ ვინიცობაა მუშა მოკვდა, მიეცეს განსვენებულის მშობლებს ერთდროულ დახმარებათ 50 მან. 6. მცირე წლოვანები სამუშაოზე არ მიიღებიან. 7. ჯამაგირის გადიდება იმათთვის, რომლებიც კვირაში 5 მან. იღებენ 20%-ით, ვინც მეტს იღებს—15%-ით. 8. ნარდით მუშაობაზე 1000 ცალი პაპიროზის დამზადება—60 კაპ. 9. აწონა და ჩაწერა ნამუშევრისა, როგორც სამარცხვინო კანტროლი, მოისპოს. 10. უფროსი ხარისხებათ გამნაწილებელი იაფოვასი ჩარბილიდი, მისი ავათმყოფობის და შრომისთვის უარგისობის გამო, მიღებულ იქმნას თავის ძველ ადგილზე. 11. სრული ჯამაგირის მიცემა გაფიცვის დროს. 12. მეკარობკეებს ყოველ 1000 ცალ კაროპკაზე მოემატოს 1 მან. 13. მეპაჭკეებს, თვითოეულს მოემატოს 10 კაპ. 1000 პაჭკაზე და ყოველდღიურათ მიეცეთ მთელი ნამუშევრის საფასო. 14. მეღოგეს მიეცეს თვეში 30 მან („ჩ. ვ.“)

—

როგორც იქმნა ბოლო მოეღო ილარიონ ჭეიშვილსა და მის ქარგლებ შორის უთანხმოებას. როგორც ჩვენს გაზეთშიდ (№ 1) გვქონდა მოხსენებული, „პარტნოების“ ორგანიზაციამ ორი წინადადება მისცა ბ-ნ ჭეიშვილს: ან დაეკმაყოფილებია ქარგლები ან გაყოლოდა მედიატორულ სასამართლოში; მან, ჭეიშვილმა ირჩია უკანასკნელი, რომელიც ქარგლების სრული გამარჯვებით გათავდა.

აი რეზოლიუციაც. ჩვენ არჩეულმა კაცებმა, მივიღეთ რა მხედველობაში, ი. ჭეიშვილის არა სამართლიანი მოქმედება, რომელიც გამოიხატა მის მეტ სამუშაო დროის მოთხოვნილებაშიდ, რის გამოც ამხელებული გახდნენ ქარგლები, რომ მისთვის გაფიცვით ეპასუხნათ, ვადგენთ: გაფიცვის დღეების ჯამაგირის ანაზღაურებას და ქარგლებისთვის თავიანთ ადგილის მიცემას.

## დია წერილი ბ-ნ ვლ. მესხიშვილს.

როგორც „ჩერნ. ვესტ.“-ი იუწყებოდა ამას წინეთ, ჩვენი სასიქადულო მსახიობი ვლ. მესხიშვილი თურმე რუსეთში მიემგზავრება. ძლიერ სამწუხაროა ეს ამბავი, მაგრამ კითხვა ის არის, რამ აიძულა ბ. მესხიშვილი, რომ რუსეთში მიემგზავრება? ჩემის აზრით, მიზეზი უნდა იყოს, რომ ეხლა—ამ ჩვენ დუხჭირ დროში, ჩვენი მსახიობნი ძლიერ ცუდ მდგომარეობაში არიან!.. მაგრამ დღეს ვინ არის კარგ მდგომარეობაში? ვინ არის დღეს კმაყოფილი თავის ბედის? არავინ. თვით ბ. მესხიშვილმა და საზოგადოებაც კარგათ იცის, რომ ასეთ-არეულ-დარეულ ხანაში, არავინ არ არის მადლიერი თავის ბედისა... მერე ნუთუ ამან უნდა შეაკრთოს ბ. მესხიშვილი და უნდა მიატოვოს ქართული სცენა? არა, და არა, ეგ ღალატი იქნება. მართალია საზოგადოება გულ-ცივათ ეკიდებოდა ამ ბოლო დროს თეატრის საქმეს, მაგრამ აქ საზოგადოება იმდენათ არ არის დამნაშავე, რამდენათაც დრო; ისიც მართალია, რომ დღეს-დღეობით ჩვენი თეატრის კარები დახურულია, მაგრამ მოვა დრო გაიღება ის და ბრწყინვალე მზის სხივები მიან თებს სცენას და მაშინ ხალხი მოითხოვს ბ. მესხიშვილს და მესხიშვილმაც უნდა დაანახოს ხალხს თავისი ჭირ-ვარამი ისე, როგორც დღემდის უჩვენებდა. ხალხისათვის დღეს სცენა ისე საჭიროა, როგორათაც ჰაერი და ამავე დროს კი ვკითხულობთ გაზეთის ფურცელზე, რომ მესხიშვილი რუსეთში მიემგზავრებაო!.. სამწუხაროა, სამწუხაროდ იმედი გვაქვს, რომ ბ. მესხიშვილი არ დაიობლებს ჩვენ სცენას და შემდეგისათვის შეუდგება თავის მოვალეობის აღსრულებას.

მეგობარი.

# ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ,

ს. სვირი (ქუთაისის მაზრა). 9 ივლისს, მამასახლისის განკარგულებით, შედგა სასოფლო სასამართლოს ეზოში ხალხის კრება. მამასახლისმა ხალხს გამოუცხადა მღვდლებისთვის სამი „ტრედის“ დრამის ფულის მიცემა, რომელიც შეადგენს 3000 მანეთს; ხალხმა ერთბაშათ უარი გამოუცხადა მამასახლისს და მოითხოვეს პირდაპირ მათთან გამოსულიყო სულ. მამები, რის შემდეგ მარტო მღ. ს. ჯუღელი და ალ. ცხადაძე გამოვიდა ხალხთან; პირველმა—მღ. სიმონ ჯუღელმა შემდეგი სიტყვებით მიმართა ხალხს: „გახსოვთ, თუ არა, თქვენ აღიხანოვს პირობა რომ მიეცით?“ მე მშია, მშია და დრამა უსათუოთ უნდა მომცეთო“, ამაზედ ხალხმა უფრო აღელვებულათ უარი განუცხადა და დაუსახელა გლეხებმა, რომ ისინი ბავშვის დაბადებიდგან სიკვდილამდის, ერთ წელიწადს და

ხან მეტსაც სოფლავში მყოფსაც-კი ახდევინებენ სხვა და სხვა გვარ მოხერხებით გადასახადსო.

ერთმა გლეხმა გ. გეწაძემ პირდაპირ უთხრა სულიერს მამას: რომ მას შვიდი სული მოუკვდა და თითო სულზედ ათი მან. მისცა საწირავი მღვდელს... ამის შემდეგ სულიერი მამები ნაწყენი მოცილდენ ხალხს; ხალხი დარწმუნებულია, რომ მამასახლისი მღვდლების ძალდატანებით ახდევინებს მათ დრამას და ფიქრობენ: მოიწვიონ ისეთი მღვდლები, რომლებიც მათ უფრო ადამიანურათ მოეპყრობათ. დასასრულ, უნდა შევნიშნო, რომ არსად ისე მღვდლები არ გაუთამამებია რეაქციას, როგორც სვირში; ურჩევ სულ. მამებს ხალხის რისხვას მოერიდონ და ათას გვარათ ცეცხლ-მოკიდებულ ხალხს ზედმეტ ცეცხლს ნუ უკიდებენ, თორემ ბოლოს გვიანღა იქნება „თითებზედ კბენანი“...

შინაცა—ვარ

# რუსეთი

კანონ-პროექტი 15 მილიონი მანეთის გადადების შესახებ დამშეულთა სასარგებლოთ, რომელიც სათათბიროშ და სახელმწიფო საბჭომ მიიღო ეხლა თურმე, როგორც „ნაშა ჟიზნს“ გაუგია, მიფესაც დაუმტკიცებია. ეს პირველი კანონ-პროექტია, შენიშნავს, გაზეთი, რომელიც ახალი გზით იქნა გატარებულიო.

—

ბალტიის მხრის გენერალი ორლოვი, ულანის პოლკის ლეიბ-გვარდიის კომანდირი, ტრეპოვს წასჩხუბებია,— როგორ ან რისთვის, არავინ იცის. ჩხუბს თან პოლკის მღელვარება მოჰყვა, რომელმაც წამოაყენა რამოდენიმე ეკონომიური მოთხოვნილებანი და მასთან ერთათ მოითხოვა ტრეპოვის დღევანდელი თანამდებობიდან გადაყენება. პოლკის მღელვარებამ შიშის ქარები აღუძრა მთავრობას. „XX საუკუნეს“ სიტყვით, თავი მოუყრიათ რამოდენიმე გენერალს და სასახლის ჩინოვნიკებს და მათ მოურიგებიათ ორლოვი ტრეპოვთან.

როგორც „მილი“ გადმოგვცემს, უმაღლეს სამხედრო წრეებში უკვე მიუგნიათ საშვალებისათვის, რომელიც სამხედრო ბიუროკრატების აზრით, ბოლოს მოუღებს მღელვარებას ჯარში.

სამხედრო სამინისტროს ჯარის მღელვარება მანამდე არ მიაჩნია საშიშრათ, სანამ ამ მოძრაობას უნტერ-ოფიცერი და ფელდ-ფებლები არ ჩაუთრევია. ამიტომ სამხედრო სამინისტროს განუზრახავს განსაკუთრებულ უკეთეს პირობებში ჩააყენოს უნტერ-ოფიცრები და ფელდფებლები. „უჩებნაია კომანდას“ მაგიერ უნტერ-ოფიცრებისთვის შემოიღეს განსაკუთრებული შკოლები, როგორიც არსებობენ დასავლეთ ევროპაში. სამინისტროს ზომები მიუღია განზრახული შკოლების ინსტიტუტის გასაცნობათ...

—

მოსკოვის გრადონაჩალნიკს გენ. მ. რეინბოტს პოლიცმეისტრებისთვის და ბოქაულებისთვის შემდეგი შინაარსის ტელეგრამები დაუგზავნია: „ჩემ მიერ ნება დართულ კრებაზე ერთ სახალხო შენობაში გამოცხადდა ორატორი, რომელიც იქ მყოფ საზოგადოებას არ ეკუთვნოდა, და რომელმაც სახელმწიფო სათათბიროს წევრათ გააცნო თავი საზოგადოებას. მოულოდნელი შედეგების თავიდან ასაცილებლათ და იმის გამო, რომ ჩემგნით ნება დართულია მხოლოთ კრებები განსაზღვრული საზოგადოებების და კავშირების, წინადადებას გაძლევთ ყოველ კრებაზე, გააგზავნოთ პოლიციის წარმომადგენელი, და იმ შემთხვევაში თუ კრებაზე გარეშე ორატორები გამოცხადდებიან, კრება მაშინვე დახურული უნდა იქნეს, სანამ ჩემგან ხელ-ახლა არ მიიღებთ ამის შესახებ შესაფერ განკარგულებას“.

ამბობენ გრადონაჩალნიკის მიერ ცირკულიარების დაგზავნა დეპუტატ-რამიშვილის მიტინგებზე გამოსვლამ გამოიწვიაო.

### წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო!

გთხოვთ, თქვენს პატივცემულ გაზეთ „შიკრიკი“-ს ნომერში მოათავსოთ შემდეგი წერილი:

ჩვენ ქუთაისის პარიკმახერების ქარგლებმა და შეგირდებმა, როგორც უკვე იყო მოთავსებული გაზეთში, გაფიცვა გამოუცხადეთ ჩვენს აღებს.

თითქმის ორის გარდა ყველამ დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნილებები. ერთი იმ ვაჟ-ბატონთაგანი ბრძანდება—ბ. ნიკოლაი, რომელიც თურმე დადის სხვა ხაზეინებთან და ეუბნება: „რა ლაჩრები ყოფილხართ თქვენ, რომ ქარგლებისა და შეგირდების მოთხოვნას აკმაყოფილებთო“.

ეხლა. ჩვენ, ქარგლები და შეგირდები მივმართავთ ბ. ბ. ნიკოლაისა და მალხაზს: ან დააკმაყოფილონ სრულიად ჩვენი მოთხოვნილებანი და ან გამოგვყვენ სამედიატორო სამართალში. პასუხს ველით მოკლე დროში.

ამხანაგების მონდობილობით
კირილე ნებიერიძე.

# დეპეშები.

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11—12 ივლისი.

**პეტერბურგი.** საბჭოს თავმჯდომარის, შინაგან საქმეთა მინისტრის დ. ს. სტოლიპინის ტელეგრამა გენერალ-გუბერნატორებს, გუბერნატორებს, გრადონაჩალნიკებს და სახელმძღვანელოთ მის უდიდებულესობის მოადგილეს კავკასიაში: თანახმად მიღებულ მის უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორისაგან ჩვენებათა, ადგილობრივ მთავრობათა მოქმედების მჭიდროთ შესაკავშირებლათ, გაუწყებთ თქვენ მოგეთხოვებათ შეურყეველი, მტკიცეთ გადაწყვეტილი ხელმძღვანელობა თქვენზე დაქვემდებარებულ ორგანოთა სრული მყუდროების და წესრიგების აღდგენის საქმეში. მომხდარი არეულობამ მიიღოს თქვენგან შესაფერი, აღუშფოთებელი პასუხი; რევოლიუციონური შეთქმულებანი უნდა მოსპობილი იქმნეს სრულის კანონიერი საშვალებით, მიღებული ზომები უნდა მასთანავე განიზომებოდენ სასტიკი მოფიქრებით, ვიბრძვით საზოგადოებასთან კი არა, არამედ საზოგადოების მტერთა წინააღმდეგ. უთავბოლო, განურჩეველი რეპრესიები არ იქნება მოწონებული. უკანონო და გაუფრთხილებელი მოქმედებანი, რომელთაც შედეგად მოყობა, სასურველი სიმშვიდის მაგიერ იწვევს არევდარევას,—არ არიან სასურველნი. განზრახვანი ხელმწიფე-იმპერატორისა უცვლელნი დარჩებიან, რის გამოც მთავრობა მტკიცე გადაწყვეტილებას დაადგა, ხელი შეუწყოს კანონიერ წესით შეცვლას დაძველებულ კანონებისას. ძველი წესწყობილება განახლდა. წესრიგი უნდა დაცულ იქმნას სისრულით. ამ მხრივ თქვენ უნდა ხელმძღვანელობდეთ საკუთარის ინიციატივით, რისთვისაც პასუხის მგებელი თქვენ თითონ იქნებით. თუ იმოქმედებთ ზემოთ ნაჩვენების გზით, მოიპოვებთ თანაგრძნობას საუკეთესო საზოგადოების ნაწილში.

**ლონდონი.** გაიხსნა მუშაობა საერთაშორისო საპარლამენტო კონფერენციისა; შეიკრიბნენ 500 დელეგატი; თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ლორდი უნირდელი, რომელმაც სიხარულით აღნიშნა, რომ ეგრე მრავალ რიცხოვანი დელეგატების გამოცხადება ამტკიცებს კონფერენციის დიად მნიშვნელობას. მთელი კრება დიდის ოვაციით მიეგება რუს-დელეგატებს; თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მოვა დრო, როდესაც ომის გამოცხადება სახელმწიფოთა შორის, საერთა-შორისო სამედიატორო სასამართლოს ნება დაურთველად არ შეგვეძლება. ბანნერმანმა საპასუხო სიტყვაში წარმოსთქვა: „მეფემ დამავალა პატივის ცემა კონფერენციის წევრებისადმი, რადგან თვით კაროლიც დიდის ინტერესით უყურებს კონფერენციას, რომელიც არ არის ოფიციალური, მაგრამ მნიშვნელობა კი აქვს დიადი, ისტორიული. საყოველთაოდ მშვიდობიანობის დამყარება შეიქნა ყველასათვის სასურველი; მოიხსენეს ხელმწიფე, რომელმაც პირველმა აღძრა ამაზე კითხვა და მოიწვია გააგოს კონფერენცია უმაღლეს იდეის განსახორციელებლად. მართალია დღეს რუსეთში სათათბირო დათხოვნილია, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ვსთქვათ, რომ სათათბირო ისევ იქნება მოწვეული და ხმა მაღლა შევსძახა: გაუმარჯოს სათათბიროს! (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

**პეტერბურგი.** ზაბაიკალის რკინის გზის ლიანდავის უფროსმა აცნობა გზათა მინისტრს, რომ საშინელმა ნიაღვარებმა მეტად დააზიანეს ლიანდაგი.

**ოდესა.** მოკლულ კაზაკის დასაფლავების შემდეგ, შუა დღისას ცადეს ებრაელების დარბევა; საღამოს 7 საათზე ქალაქის მიდამოებში აკლება—დარბევამ მიიღო უფრო ვრცელი ხასიათი. ცარცვენ და იკლებენ ებრაელების დუქნებს. ებრაელები გარბიან ერთი ნაწილიდგან მეორე ქალაქის ნაწილში, ბევრი ქალაქს ტოვებს და საჩქაროთ გარბიან.

**პეტერბურგი.** სიმბირსკის გუბერნატორი თავ. იაშვილი დათხოვნილ იქმნა თანამდებობისაგან, თანახმად მისივე თხოვნისა.

**ლონდონი.** ბანნერმანი თავის სიტყვაში იმედოვნებს, რომ საერთაშორისო სამედიატორო სასამართლოს პრინციპი მსოფლიოთ გავრცელდება. დემოკრატია უკვე ხედავს, რომ ის ხდება მსხვერპლი იმ მილიტარიზმის, რომელიც ნამდვილი დაბრკოლება [illegible] დიად სასიხარულო [illegible] ოფიციალური ნაბიჯი სამედიატორო სასამართლოს დაარსებაში გადასდგა ახალმა რუსეთის პარლამენტმა; მართალია ის დღეს მოკვდა, მაგრამ დარწმუნებული ვართ, ის აღსდგება უფრო ძლიერი სხვა სახით და ფორმით. კოვალევსკი საპასუხო სიტყვაში აღიარებს, რომ რუსეთის ხალხს სურს მშვიდობიანობა და სათათბიროც სთვლიდა თავის თავს განმანთავისუფლებლათ აუტანელ რეჟიმისაგან და ამ დიდებულ ხალხისაგან დავალებული გვქონდა მიგვეღო მხურვალე მონაწილეობა საერთა-შორისო კონფერენციაში, მაგრამ, მოულოდნელად ჩვენი მისსია გათავდა (ხმაურობაა: არა, არა). კოვალევსკი განაგრძობს: ჩვენი თანაგრძნობა კონფერენციისადმი მუდამ გულწრფელი იქნება.

**ბერლინი.** ბირჟაზე დიდი ფაცაფუცია და აღელვება რუსეთის სათათბიროს დათხოვნის გამო. რუსეთის ღირებულებანი დაეცა. ლონდონიდგან მიიღეს ცნობა, რომ რუსეთის სესხი 5% დაიწია 9¼% პროცენტამდის.

**მოსკოვი.** გუშინდელ დღიდგან გააძლიერეს რკინის გზების ლიანდაგების დაცვა ჯარებით. ნიკოლაევის რკინის გზაზე სადგურ „დავიდოვამდის“ გაგზავნილია 3 როტა ქვეითა ჯარი, 1 როტა ტყვიის მტყორცნელი. ბრესტსკის სადგურზე დაყენებულია დამსჯელი მატარებელი; ნიკოლაევის რკინის გზის ლიანდაგზე გამოცხადებულია საგანგებო დაცვის წესები; თვითონ ქალაქში ძლიერი ზომებია მიღებული წესიერების დაცვისათვის, ლაგერიდგან გამოიყვანეს დრაგუნები.

**ვლადიმირი.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია ორეხოვის მუშების საქმე, რომელთაც ბრალდებოდათ კაზაკების მოკვლა შეტაკების დროს, ზოგიერთს გადაუწყვიტეს კატორღა, ორი კი სულ გაანთავისუფლეს; დამსწრე საზოგადოებამ განთავისუფლებულთ გაუმართა დიდი ოვაცია და გადმოაყარა თაიგულები.

**ხარკოვი.** დღეს ორთქლმავალის ზავოდის მუშებმა მიზეზის დაუსახელებლად შეწყვიტეს მუშაობა.

**კისლოვოდსკი.** დღეს ყველა მაღაზიები, სასტუმროები, სასადილოები და აბანოები დაკეტილია; სანოვაგე საჭმელის შოვნა შეუძლებელია; დილას მანიფესტანტებმა წითელი დროშებით, მარსელიეზის სიმღერით შეიკრიბნენ პარკში, გამართეს მიტინგი, დაადგინეს: წესიერება გაფიცვის დროს თვითონვე დაიცვან, გახსნან მარტო სანოვაგის სავაჭროები. პოლიცია არ გამოჩენილა, საღამოს ჩამოვიდა ერთი ასეული პლასტუნები.

**ჩიტა.** რკინის გზის დეპოს მომუშავეთ მიტინგის დროს შემოერტყა ჯარები; 50 კაცი დაიჭირეს, მათ რიცხვში ორი სტუდენტი, ერთი ოფიცერი და ერთიც გიმნაზიელი.

**სერდობსკი.** ამ დღეებში დაიწვა სოფელ „ახალ სტუდენტოვკაში“ 300 სახლი; ამ გადაბუგვას ხსნიან იმით, რომ „ახალ სტუდენტოვკი“-ს გლეხები მონაწილეობას არ ღებულობდნენ მოძრაობაში.

რედაქტორ-გამომცემელი
ალ. გ. რუხაძე.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ი. კილაძისა და ი. ბელ ძისა — ქუთაისში